შეტევა კოსმოსზე გრძელდება!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 იანვარი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 12 (14312)

ПОДПОЛКОВНИК

ВЛАДИМИР АЛЕКСАНДРЕ-ДЗЕ ШАТАЛОВИ

ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი დაიბადა 1927 წლის 8 დეკემბერს ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკში. ბავშვობა ლენინგრადში გაატარა.

ყრმობიდანვე ვლადიმერი გატაცებული იყო ავიაციით, დაამთავრა სამხედრო-საჰაერო ძალების სპეცსკოლა, პილოტთა დაწყებითი სწავლების სკოლა და 1945 წელს ჩაირიცხა კაჩის მფრინავთა სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის კურსანტად.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი მუშაობს მფრინავ-ინსტრუქტორად, 1953 წელს შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. იმავე წელს იგი შედის წითელდროშოვან სამხედრო-საჰაერო აკადემიაში და წარმატებით ამთავრებს მას 1956 წელს.

აკადემიაში სწავლის შემდეგ ვ. ა. შატალოვი მსახურობდა საბჭოთა არმიის საავიაციო ნაწილებში მეთაურის პოსტებზე.

1963 წლის იანვარში ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ჩაირიცხა კოსმონავტთა რიგებში.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის გაშვების დროს შატალოვი იყო გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოის დუბლიორი.

ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი ცოლიანია. მისი ცოლი მუშაობს ანდრიას ასული მუშაობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია.

შატალოვებს ჰყავთ ორი შვილი: იგორი მეათე კლასის მოსწავლეა; ქალიშვილი ელენე მეოთხე კლასში სწავლობს.

კოსმონავტის დედა ზოია ვლადიმერის ასული და მამა ალექსანდრე ბორისის-ძე ამჟამად პენსიონერები არიან.

მამა წინათ რკინიგზაზე მუშაობდა; 1943 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. (საკდესი).

ფოტო ვ. ჩერედნიცეველისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ნახატი ბ. ბაისურაძისა.

ხომალდ „სოიუზ-4“-ის მეთაურის ამხანაგ ვ. ა. შატალოვის განცხადება სტარტის წინ

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ორმა თვემ განვლო, რაც ამხანაგმა და მეგობარმა გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოიმ შეასრულა ოთხდღიანი ფრენა კოსმოსური ხომალდით „სოიუზ-3“-ით.

მე გამომიცხადეს დიდი ნდობა — განვაგრძო შესანიშნავი ხომალდის „სოიუზის“ გამოცდა. მზად ვარ შევასრულო სამშობლოს საპატიო დავალება. მივფრინავ რა კოსმოსურ სივრცეში, აღვუთქვამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მთელ ძალასა და ცოდნას მოვახმარ ჩემს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

ნახვამდის, ძვირფასო მეგობრებო!

მშობლიურ მიწაზე მალე შეხვედრამდე!

(საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1969 წლის 19 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1969 წლის 16 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1969 წლის 14 იანვარი.

საკდესის ცნობა

ორბიტაზეა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“

დღეს, 1969 წლის 14 იანვარს, 10 საათსა და 39 წუთზე მოსკოვის დროით დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტის საშუალებით გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“.

კოსმოსურ ხომალდს მართავს საბჭოთა კავშირის მოქალაქე, კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის ორბიტის პარამეტრები გაანგარიშებულს უახლოვდება და შეადგენს: დედამიწის ირგვლივ მიმოქცევის პერიოდი—88,25 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 225 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 173 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 40 მინუტი.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-4“-თან დამყარებულია საიმედო ორმხრივი რადიოკავშირი. ცნობები ხომალდიდან გადმოიცემა 20,008 მეგაჰერცი სიხშირით.

კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვის მოხსენებით და ტელემეტრიული გაზომვების მონაცემებით იგი შესანიშნავად გრძნობს თავს.

ხომალდ „სოიუზ-4“-ის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ და წნევასა და ტემპერატურას გაანგარიშებულ ფარგლებში ინარჩუნებენ.

კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი შეუდგა ფრენის პროგრამის შესრულებას.

□ □

კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“ განაგრძობს ფრენას. ორბიტაზე გაყვანისა და ფრენის პროცესში კოსმონავტთან პოდპოლკოვნიკ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვთან დამყარებულია მყარი რადიოკავშირი. კოსმონავტმა მფრინავმა მოახსენა, რომ ორბიტაზე გაყვანის მონაკვეთი გადაიტანა კარგად, ხომალდის სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

კოსმონავტი შეუდგა ორბიტული ფრენის პროგრამის შესრულებას. მან შეასრულა მზის მიმართ კოსმოსური ხომალდის ხელით ორიენტაცია.

ამხანაგი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი თავს ჩინებულად გრძნობს.

კოსმონავტის მოხსენებების მიხედვითა და ტელემეტრიული გაზომვების მონაცემებით ხომალდის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტის მდგომარეობას და მის მოქმედებას ტელევიზიით აკვირდებიან.

ხომალდიდან დედამიწაზე გამოსახულებათა გადაცემის ხარისხი კარგია.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის სტარტი მატარებელი რაკეტითურთ გადაიცა ცენტრალური ტელევიზიით.

კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“ ფრენას განაგრძობს.

□ □

14 იანვარს 15 საათისათვის მოსკოვის დროით ხომალდმა „სოიუზ-4“-მა სამჯერ შემოუფრინა დედამიწას.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-4“-თან რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს პოდპოლკოვნიკმა ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვმა გადმოსცა, რომ წარმატებით შესრულდა ფრენის პროგრამა, ექსპერიმენტები და მეცნიერული კვლევა, რაც დაგეგმილი იყო პირველი სამი გარშემოვლის დროს. კოსმოსური ხომალდის ხელის ორიენტაციის დროს ზუსტად შესრულდა ყველა ევოლუცია და იგი ზედმიწევნით იყო ორიენტირებული მზეზე მზის ბატარიებით, რამაც უზრუნველყო ხომალდის სისტემების ნორმალური ენერგოკვება.

ამხანაგმა ვ. ა. შატალოვმა მოაწყო დაკვირვება ღრუბლის საფარსა და დედამიწის ზედაპირზე, აგრეთვე ტელერეპორტაჟი კოსმოსური ხომალდიდან. გამოსახულების გადმოცემის ხარისხი კარგია. ფრენის მეორე გარშემოვლის დროს ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვმა მადიანად ისადილა. კოსმონავტი მფრინავი თავს კარგად გრძნობს. მაჯისცემის სიხშირეა წუთში 66, სუთქვის სიხშირე — წუთში 18.

ფრენის მეორე გარშემოვლის დროს ექსპერიმენტების შესრულებისათვის კოსმონავტი მფრინავი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი გადადიოდა ორბიტალურ ნაკვეთურში, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერული კვლევის შესასრულებლად და კოსმონავტის დასასვენებლად.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის ბორტის სისტემები ნორმალურად მუშაობენ: წნევა ხომალდის კაბინაში ვერცხლისწყლის სვეტის 800 მილიმეტრია, ტემპერატურა — 19 გრადუსი ცელსიუსით.

კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი განაგრძობს ექსპერიმენტებისა და კვლევის დასახული პროგრამის შესრულებას.

„სოიუზ-4“-ის კამერები და მიკროფონები ჩართულია

14 იანვარს ტელემაყურებლებმა რამდენჯერმე ნახეს პირდაპირი რეპორტაჟი კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-4“-დან.

დედამიწიდან ასობით კილომეტრზე მყოფი კოსმონავტი მფრინავი ვლადიმერ შატალოვი ასრულებდა ფრენის ხელმძღვანელთა დავალებებს, გვაცნობებდა როგორ გრძნობდა თავს, გვაცნობდა კაბინის მოწყობილობას.

— „ამური“! „გახთიადი“ ვარ.

ასე იწყებოდა ჩვეულებრივად. კოსმოდრომისა და ხომალდის კავშირის სეანსი.

„ამური“ — ვლადიმერ შატალოვის მოხმობის ნიშანია.

ჩვენ დავინახეთ, როგორ გამეორა კოსმონავტმა დავალებები, როგორ ფურცლავდა ბორტჟურნალს, „წარმოუდგა მასში ჩაწერას.

— როგორ შეეგუეთ ვითარებას, — კითხეს კოსმონავტს. მან უპასუხა, რომ ეს პროცესი წარმატებით დამთავრდა, თუმცა წუხდა, რომ ძალიან მალე გადის დრო. „სოიუზ-4“-ის მეთაურმა თქვა, რომ შეუდგა მუშაობას პროგრამის მიხედვით და შინაურულად მიმოიხედა ირგვლივ და უბრალოდ, თითქოს შინ ყოფილიყოს, თქვა.

— ყველაფერი თაროებზე დავაწყვე. ამ შენიშვნამ ყველას ღიმილი მოჰგვარა, ვინც ტელევიზორთან იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჩართეს საბორტო კამერები და მიკროფონები.

— „კარგად ბრძანდეთ! — აცნობა „გახთიადმა“.

კოსმონავტმა წამოიწია და ილუმინატორში ჩაიხედა.

ახლა კარგად ვხედავ მიწას. თვალს ვადევნებ მას მარცხენა ილუმინატორში— მოახსენა მან.

დაიწყო რეპორტაჟი, რომელსაც კოსმონავტი გადმოსცემდა. ვლადიმერ შატალოვმა შენიშნა, რომ ცნობა „სოიუზ-4“-ს გაშვების შესახებ მოისმინა რადიოსადგურ „მაიაკით“. რეპორტაჟი კი მიმდინარეობდა ხომალდის მეთაურის სამუშაო ადგილიდან ტელეკამერის საშუალებით. კამერები გარედანაცა.

ტელეკამერა მოთავსებულია ორბიტულ ნაკეთობაშიც, ასეთი კამერის საშუალებით გიორგი ბერეგოვოი აცნობდა ტელემაყურებლებს „სოიუზ-3“-ის მოწყობილობის განლაგებას.

— ხომალდის ყველა სისტემა ჩინებულად მუშაობს, — განაცხადა ვლადიმერ შატალოვმა. — ორბიტაზე გაყვანის შემდეგ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. შევეჩვიე უწონობის მდგომარეობას. მოვეეშვაზე მეცნიერული ექსპერიმენტისათვის. ახლა... მეორე საათია მივფრინავ.

ვიდრე დროს დაასახელებდა, კოსმონავტმა გააკეთა პაუზა, დახედა საათს.

—ამის შემდეგ რეპორტაჟს გადმოგცემთ ორბიტული ნაკვეთურიდან, — თქვა შატალოვმა. — შევეცდები გაგაცნოთ ხომალდის მოწყობილობა.

ტელემაყურებლები გამოეთხოვნენ კოსმონავტს, რომ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შეხვდენ მას.

ბ. ლუკიანოვი.

(საკდესი).

საბჭოთა კოსმონავტების სტარტები

14 იანვარს დაიწყო საბჭოთა კოსმონავტების მეთერთმეტე მოგზაურობა მას შემდეგ, რაც 1961 წლის 12 აპრილს იური გაგარინმა დასაბამი მისცა პილოტირებული კოსმოსური ფრენის ერას. განვლილი რვა წლის მანძილზე საბჭოთა კოსმონავტებმა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაატარეს ასობით საათი და იფრინეს ათობით მილიონი კილომეტრი.

ამ მატიანეში ყველაზე მკაფიო მოვლენებს შორის აღსანიშნავია პირველი ჯგუფური გაფრენა, რომელიც შეასრულეს პავლე პოპოვიჩმა და ანდრიან ნიკოლაევმა 1962 წლის აგვისტოში „ვოსტოკ-3“ და „ვოსტოკ-4“ ხომალდებით, კოსმონავტი ქალის ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვის პირველი მოგზაურობა (1963 წლის ივნისი), პირველი მრავალადგილიანი ხომალდის „ვოსხოდის“ გაფრენა, რომელშიც იყვნენ კოსმონავტები ვლადიმერ კომაროვი, კონსტანტინე ფეოქტისტოვი და ბორის ეგოროვი 1964 წლის ოქტომბერში, პირველი გასვლა ღია კოსმოსურ სივრცეში, რომელიც მოახდინა ალექსი ლეონოვმა (1965 წლის მარტი).

სტარტი ხომალდისა, რომელსაც მართავს კოსმონავტი ვლადიმერ შატალოვი, გაიმართა მხოლოდ ორთვენახევრის შემდეგ, რაც დამთავრდა გიორგი ბერეგოვოის ფრენა, რომელმაც დედამიწის ირგვლივ სივრცეში ოთხი დღე-ღამე დაჰყო. მისი ფრენის უმნიშვნელოვანესი შედეგია კოსმოსური აპარატის მართვაობის ორიენტაციისა და მართვის სხვადასხვა სისტემის საშუალებით ხომალდის მრავალგზისი მანევრირების პროცესების დახვეწა. კოსმონავტმა გიორგი ბერეგოვოიმ შეასრულა ავტომატი უპილოტო ხომალდთან ერთობლივი ექსპერიმენტების პროგრამა.

1969 წლის დამდეგი საბჭოთა კოსმოსური კვლევისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე პერიოდი აღმოჩნდა: იანვრის ორი კვირის მანძილზე გაუშვეს ორი სპალნერტათშორისო ავტომატური სადგური ვენერასაკენ, დღეს კი დაიწყო „სოიუზ-4“-ის პილოტირებული ფრენა.

1957 წლის 4 ოქტომბერს ყაზაბრიობამ გაიგონა უცნობი, მაგრამ შემდეგ სახელგანთქმული რადიოსიგნალები „ბიპ-ბიპ“, და ადამიანებს შეეძლოთ ღამის ცის ფონზე თვალყური ედევნებინათ საბჭოთა კავშირში შექმნილი ისტორიაში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ფრენისათვის.

დადგა კოსმოსური სივრცის თვისების მე-12 წელი. (საკდესი).

მეთოთხმეტე სტარტი

ლაპარაკობს და უჩვენებს კოსმოდრომი

ყოველთვის, როცა ვისმენთ მოსკოვის მოხმობის ნიშნებს — სიმღერის „ვრცელია ჩემი სამშობლოს“ მელოდიას, უდიდესი მღელვარების გრძნობა გვეუფლება. ეს მელოდია ჩვეულებრივ წინ უძღვის დიდმნიშვნელოვან ცნობას.

ასე იყო 14 ივნისსაც. ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მილიონობით ადამიანი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ტელევიზორთა ეკრანებს.

— ლაპარაკობს მოსკოვი! მუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური და ცენტრალური ტელევიზია. გადმოგცემთ საკუდესის ცნობას!

დიქტორ იური ლევიტანის ნაცნობი ხმა. დიდი აღმავლობით კითხულობს იგი ცნობას იმის შესახებ, რომ დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრმა მატარებელმა რაკეტამ გაიყვანა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“. ხომალდს მართავს საბჭოთა კავშირის მოქალაქე პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი. ტელემაყურებლებმა მოისმინეს ხომალდ „სოიუზ-4“-ის მეთაურის განცხადება სტარტის წინ, გაეცნენ მის ბიოგრაფიას.

და აი დიქტორმა გამოაცხადა:

— რამდენიმე წუთის შემდეგ ცენტრალური ტელევიზია უჩვენებს რეპორტაჟს სასტარტო მოედნიდან კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის გაშვების შესახებ.

ჩართეს ვიდეოჩანაწერი. პირველად შეგვიძლია ვიყოთ იმ მოვლენის მოწმენი, რომლის შესახებაც უკვე მთელმა მსოფლიომ იცის.

11 საათი და 52 წუთია მოსკოვის დროით.

— ლაპარაკობს და უჩვენებს კოსმოდრომი!

ეი ისიც, რაკეტა, რომელიც კოსმოსურ ხომალდს წაიყვანს სამყაროს სივრცეებში. თეთრი ფერის რაკეტა წვეროთ მიმართულია ზემოთ. იგი თითქოს გარემოსილია ლითონის ფერმების ჭსელით. მის ძირთან ადამიანები ფუსფუსებენ. ტელეკამერა გვიჩვენებს ლიფტს, რომლითაც ადის ვლადიმერ შატალოვი. ლიფტი სცილდება ჯერ ერთ მოედანს, შემდეგ მეორეს, მესამეს... სულ უფრო მაღლა-მაღლა ადის. ბოლოს, ჩერდება.

კოსმონავტს თბილი ქუთუთაკი აცვია, ბეწვის ქუდი ახურავს. იგი ხელის აწევით მიესალმება იქ მყოფთ. რამდენიმე წუთს დგას მოედანზე, შემდეგ კი ხომალდის კაბინაში შედის.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი ბერეგოვოი, რომლის დუბლიორიც შატალოვი იყო, ტელემაყურებლებს უბიარებს იმ გრძნობებს, რომლებსაც სტარტის წინ განიცდიდა. მან თქვა, რომ ეი ასეთ მომენტში, რომელსაც ახლა მისი ამხანაგი განიცდის, კოსმონავტს ეუფლება უჩვეულო სიხარულისა და ბედნიერების გრძნობა. ხომალდის შემქმნელი და ფრენისათვის მისი მომზადებელი კოლექტივისადმი რწმენა. „მინდა მადლობა გადაეუხადო მილიონობით ადამიანს, რომლებიც მონაწილეობდნენ ხომალდის დაბადებაში“, — ხაზგასმით აღნიშნავს ბერეგოვოი.

გიორგი ბერეგოვოი ახასიათებს ვლადიმერ შატალოვს, აღნიშნავს მის მიზანსწრაფვას, შეუპოვრობას — თვისებებს, რომლებიც ავიაციამ, ჩვენმა ხალხმა ჩაუნერგეს.

„სოიუზ-3“-ის მეთაური მეგობარს გზას ულოცავს, უსურვებს კვლავ შეიმატა ახალი ნათელი ფურცელი იმ დიდ წიგნს, რომელსაც საბჭოთა კოსმონავტიკა ჰქვია.

ახალი განძი იმატება მეცნიერებას სამყაროს შესწავლის შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფო, მისი ხალხი, მისი მეცნიერება და ტექნიკა ზეიმობენ ახალ გამარჯვებას.

კოსმოსური „ხომალდი-4“ ალბლავს შეიცნობილ სამყაროს.

გ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეპორტაჟი ტელევიზორის ეკრანიდან

◆

ჩინებულ აფრენასა და ჩინებულ დაჯდომას.

ამ დროის განმავლობაში კოსმოდრომზე გამოცხადდა ორი საათის მზადყოფნა.

ტელეკამერებს კვლავ რთავენ უკვე ხუთწუთიანი მზადყოფნის დროს. მოაცილეს მომსახურების ფერმები, და რაკეტა გამოჩნდა მთელი თავისი სისადავითა და სილამაზით.

რაკეტა გასაშვებად მზად არის! ჩართეს ხომალდის ბორტის საბტელევიზიო სისტემა. ეკრანზე გამოჩნდა კაბინა, ვლადიმერ შატალოვი. მას ახურავს თეთრი მუზარადი ყურსასმენებით. მან ესეს არის მოიარგო სამხრე ღვედები და თქვა, რომ თავს ჩინებულად გრძნობს. კოსმონავტი საათს ამოწმებს. ახლა 10 საათი და 28 წუთია მოსკოვის დროით.

ხომალდში ამუშავდა გაშვების ავტომატური სისტემები. ტელემაყურებლები ნათლად ხედავენ, თუ როგორ სცილდებიან რაკეტას კაბელ-ანძები, რომლებიც უზრუნველყოფენ რაკეტის ენერგოკვებას. ქათქათა რაკეტა კოსმოსურ სივრცეში ნახტომის წინ განაბულა.

— სტარტისათვის მზადა ვარ!

გრუხუნმა დაარღვია სიწყნარე. რაკეტა ნელნელა მოშორდა მოედანს და, მოიკრიბა რა სიჩქარე, ცისკენ აიჭრა. მის კუდის ფრთასმულობასთან გამოჩნდა ცეცხლის სვეტი, ნამდვილი ცეცხლის გრიგალი.

გვესმის შეძახილი: „დაიძრა“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები: კოსმონავტს თუ რომელიმე მის ამხანაგს?

აფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. ყაზახეთის ცაში სულ უფრო მცირდება მოცემციმე წერტილი. მას მიჰყვება შლეიფი. ეს არის ინვერსია — რაკეტის კვალი.

კოსმოვიზიას კვლავ გადავყავართ ხომალდის კაბინაში. კოსმონავტის კაბინაში ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. გადამეტტვირთვა კოსმონავტმა ბრწყინვალედ გადაიტანა.

ვლადიმერ შატალოვმა თავი დაიქნია, რაღაცა თქვა, მუზარადი გაისწორა. აი იგი ხელს გვიქნევს. ნახვამდის, დედამიწაზე შეხვედრამდე!

და კვლავ კოსმოდრომზე იღებენ ცნობას „სოიუზ-4“-დან:

— თავს ჩინებულად ვგრძნობ, კარგ გუნებაზე ვარ! არავითარ რყევას არ განვიცდი. ყველაფერი ბრწყინვალედ მიმდინარეობს!

გაივლის კიდევ რამდენიმე წუთი, და რაკეტას ჯიღარ დაინახავენ ისინი, ვინც კოსმოდრომზეა. დაკვირვების ინსტალაციას სხვა პუნქტები მიიღებენ.

„სოიუზ-4“ უკვე შორს არის დედამიწიდან. კოსმოდრომზე კი ვხედავთ ფერმებს, რომლებმაც რაკეტა ვარსკვლავეთის ტრასით საფრენად გაუშვეს.

რეპორტაჟი კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის სასტარტო მოედნიდან მიჰყავდათ იური ფოკინსა და იური ლეტუნოვს. გადაცემა მოაწყეს ცენტრალურმა ტელევიზიამ, სრულიად საკავშირო რადიომ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და კოსმოდრომის სატელევიზიო სამსახურმა.

პირველად საბჭოთა კოსმონავტიკის ისტორიაში მილიონობით ადამიანი კოსმოსური ხომალდის სტარტის მოწმე გახდა. ეს იყო დაუვიწყარი, შთამბეჭდავი სანახაობა. ყველა, ვინც თვალს ადევნებდა ამ გაფრენას, კიდევ ერთხელ განიმსჭვალა ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის, ჩვენი გმირი ხალხისათვის პატრიოტული სიამაყის გრძნობით.

ბ. ლუკიანოვი,
საკადესის კორესპონდენტი.

მფრინავი-კოსმონავტი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი ვესტიბულური აპარატის გარჯაზეს დროს.

ფოტო ბ. ჩერედნიცეკისა. (საკადესის ფოტოქრონიკა, სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

გრიგალისაგან დაზარალებული რაიონების დასახმარებლად

თბილისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ქმედით დახმარებას უწევენ გრიგალისაგან დაზარალებულ დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებს.

აქ გზავნიან მხურვალეთა და ხუროთა ბრიგადებს. ბრიგადებს აკომპლექტებენ „თბილმრეწვმშენი“, „მაღლიგმშენი“, „მთავართბილისმშენი“, ამიერკავკასიის „ტრანსმშენი“.

რუსპუბლიკის დედაქალაქის ბეერმა სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციამ გამოიჩინა კარგი ინიციატივა და დასავლეთ საქართველოს უგზავნის საშენ მასალებს. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ, ბ. ცალბასაძის სახელობის ქარხანამ, ბ. ... — ...ბ. ...ბ. ...ეკისრა — ...ეკრავენ ...ოკანგზის თბილისის განყოფილების კოლექტივს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დანიშნულების ადგილას გამოყოფილი საშენი მასალების შეუფერხებელი გაგზავნა.

ქუთაისი ღირსია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოტრანსპორტის № 1 ტრესტის ოპერატიულობა, რომელმაც კარგად მოაწყო გრიგალისაგან დაზარალებული ქალაქებისა და რაიონებისათვის საშენი მასალების მიტანის საქმე. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ბუნების დაცვის და საკანონმდებლო განსაზღვრულობათა მუდმივი კომისიების სხდომები.

მრეწველობის მუდმივმა კომისიამ განიხილა დეპუტატ გ. სამხარაძის მოსსენება რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ შემოწმებულ საწარმოებში ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობაა ჩატარებული, რის შედეგადაც შემცირდა ტრავმატიზმის შემთხვევები, საერთო და პროფესიული დაავადებები.

ამასთანავე კომისიამ აღნიშნა, რომ ზოგ საწარმოში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის დარგში.

ზოგან საკმაო ყურადღება არ ექცევა წარმოების კულტურას. საამქროს ფართობები და სამუშაო ადგილები მოუყელია, დროულად არ გააქვთ წარმოების ნარჩენები.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ, პატონის სახელობის ელექტროსაშემდუღებლო მოწყობილობათა, ქიმიურ-ფარმაცევტულ და სხვა ქარხნებში არაა მოწყობილი სპეცტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კოლექტიური წესით გარეცხვა და შეკეთება. ქარხანა „თბილელექტროიზოლიტში“ და ელექტროსაშემდუღებლო მოწყობილობათა ქარხნებში არაა მოწყობილი ქალის პირადი ჰიგიენის ოთახები.

მთელი რიგი ქარხნების საამქროებში არა აქვთ უსაფრთხოების ტექნიკის კუთხეები, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში საერთოდ არაა უსაფრთხოების ტექნიკის კაბინეტი.

შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ღონისძიებების დროზე განხორციელებას ის აფერხებს აგრეთვე, რომ ნელია კაპიტალური მშენებლობების ტემპი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა: ა. ვარდოშვილმა, გ. სამხარაძემ, ა. ჯვარაძემ, ს. შარაძეციძემ, „თბილელექტროიზოლიტის“ ქარხნის მთავარმა ინჟინერმა მ. მიხეილიძემ და სხვებმა.

მშენებლობის კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ თ. მოსაშვილის მოსსენება — რესპუბლიკაში წყალსადენების კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობის და დეპუტატ გ. შენგელიას მოსსენება — ქ. რუსთავში საბინაო მშენებლობის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე წყლის საშუალო მოხმარება, რაც ახლა რესპუბლიკაში შეადგენს 422 ლიტრს დღე-ღამეში.

წყალსადენთა მშენებლობის 1968 წლის 11 თვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 91 პროცენტით. წყალსადენების მშენებლობაში დიდი ჩამორჩენაა აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თბილისში, თელავში, საგარეჯოში და სხვა.

არადამკმაყოფილებელი მდგომარეობაა საგურამოს წყალსადენის მშენებლობაზე, რომელიც დაწყებულია ჯერ კიდევ 1965 წელს.

ნაკლოვანებებია საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით ზოგიერთი წყალსადენის ქსელის მშენებლობის საქმეშიც.

მთელი რიგი მშენებლობის ობიექტებს აკლიათ მუშახელი, ტრანსპორტი და მასალები. ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციებში, ბოდბისა და ... — ...ბ. ...ბ. ...ბ.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად განუზომლად ამაღლდა ჩვენი ხალხის შეგნება. მას მთელი სიღრმით ესმის თავისი პატრიოტული ვალდებულება, კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ამიტომ გასაგებიც არის, რომ მნიშვნელოვნად კლებულობს სამართლდარღვევები და მთელი რიგი დანაშაულობანი. მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც უხეშად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, სრდიან სხვადასხვა სახის დანაშაულს და ხელს უშლიან შემოქმედებით საქმიანობასა და ნორმალურ დასვენებაში შრომელებს, მათ, ვინც ეატივისცემით ეპყრობა ჩვენს კანონებს და საერთო ცხოვრების წესებს.

ჩვენი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს — მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ, რომელიც ახლახან გაიმართა, გაითვალისწინა რა ხალხის ინტერესები, მათი ნება-სურვილი, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესრიგი და სოციალისტური კანონიერება, მიიღო რიგი კანონები, რომლებითაც შეავსო და სრულყო მოქმედი კანონმდებლობა.

სამწუხაროა, მაგრამ ხომ სინამდვილეა, რომ საღღესასწაულო თუ საზეიმო წვეულების დროს ატყდება ხოლმე ცეცხლსასროლი იარაღის ბათქა, რასაც ეშვიათად როდი მოსდევს უბედური შემთხვევები. ან კიდევ ზოგიერთი მშობელი ზედმეტად თვლის საკუთარი სანადირო თოფის წესიერად შენახვას, ის ხელში უვარდებათ პატარებს თუ მოზარდებს, რომლებიც ბევრ უსიამოვნებას თუ ტკივილს აყენებენ როგორც საკუთარ ოჯახს, ისე სხვასაც.

საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონით დამტკიცებული ბრძანებულებით „ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ დაწესდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით სროლა დასახლებულ პუნქტებში, თუ ის ემუქრება მოქალაქეთა უშიშროებას ან არღვევს საზოგადოებრივ სიმშვიდეს, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის და შენახვის წესების დარღვევა, ასევე იარაღის სხვა პირისათვის გადაცემა, ან მისი რეგისტრაციისა და ხელახალი რეგისტრაციისათვის თავის არიდება, თუ ასეთი მოქმედებისათვის სისხლის სამართლის სასჯელი არ არის გათვალისწინებული, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე და იარაღის ჩამორთმევას.

ბრძანებულება არა მარტო შოქალაქეებს აკისრებს პასუხისმგებლობას, არამედ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს იმ მუშაკებსაც, რომლებიც ცეცხლსასროლ კუთხვილ იარაღს, აგრეთვე სანადირო გლუვლულიან თოფებსა და ამ საბრძოლო მასალას მიჰყიდიან იმ პირთ, რომელთაც არა აქვთ მათი შეძენის ნებართვა ან მონადირის ბილეთი. საუწყებო ცეცხლსასროლი კუთხვილი იარაღის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, აგრეთვე დაწესებულებები, ორგანიზაციებისა და საწარმოების სარგებლობაში არსებული გლუვლულიანი სანადირო თოფების და მათი საბრძოლო მასალის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, თუ ასეთი ქმედითობისათვის გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის სასჯელი, გამოიწვევს ამაში დამნაშავე დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების თანამდებობის პირთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე.

უფლება მიენიჭათ მილიციის ორგანოებს ჩამოართვან სანადირო თოფები იმათ, ვინც სისტემატიურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ბოროტად სარგებლობს სპირტიანი სასმელებით, ან არის ფსიქიურად დაავადებული.

ჩამორთმეული საბრძოლო და მცირეკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის კუთხვილი სანადირო თოფები, უსდა ჩაბარდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო ორგანოებს, ხოლო გლუვლულიან სანადირო თოფებს შეაფასებენ და გაყიდიან საჭირო ორგანიზაციები. თოფის რეალიზაციით მიღებული თანხა, გარდა საკომისიო გადასახადისა, ეძლევა პატრონს.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო მნიშვნელოვნად იმატა მოქალაქეთა პირადი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებათა რიცხვმა. ეს რაოდენობა მომავალში თანდათანობით გადიდდება ჩვენი ქვეყნის საავტომობილო ქარხნების სიმძლავრეთა ზრდის კვალობაზე. ამიტომ გზებზე და ქუჩებში უფრო რთულდება და დაძაბული ხდება ტრანსპორტის მოძრაობა. ამ საქმეში წესრიგის დამყარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას „გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ეს კანონი მკაცრ ზომებს აწესებს იმათ მიმართ, ვინც, ნასვამი მართავს სატრანსპორტო საშუალებებს და უხეშად და სისტემატურად არღვევს მოძრაობის უშიშროების წესებს. აძლიერებს რა პასუხისმგებლობას ცალკეული დარღვევისათვის, ბრძანებულებით ამასთანავე დაშვებულია, რომ ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციული სასჯელი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებით, აგრეთვე ვადაზე ადრე დაუბრუნდეს ჩამორთმეული მართვის უფლება იმ პირს, რომელიც სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცებს, რომ გამოსწორდა.

დაწესდა, რომ მძღოლებს, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს, როგორიცაა: ავტომობილები, ავტობუსები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მოტოპედები, ტრამვაი, ტროლეიბუსი, აგრეთვე ტრაქტორებს ან სხვა თვითმავალ მანქანებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაულევია აუკოჰოლური სასმელი, ჩამოერთმევათ ამ საშუალებათა მართვის უფლება ვადით ერთიდან ორ წლამდე.

თუ მძღოლს ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება და სამი წლის განმავლობაში მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლიდან მანქანას კვლავ ნასვამ მდგომარეობაში მართავს, მას ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ორიდან სამ წლამდე.

თუ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა (გარდა მოტოციკლებისა) მფლობელებს ჩამორთმეული აქვთ მართვის უფლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განაგრძობენ ამ საშუალებებით სარგებლობას, აგრეთვე თუ სამი წლის განმავლობაში განმეორებით იქნებიან შემჩნეულნი, რომ საკესთან მსხდომნი ნასვამ მდგომარეობაში არიან, გარდა ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევისა, მათ შეიძლება სასამართლოს დადგენილებით ჩამოერთვათ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებები და გაიყიდოს დადგენილი წესით. ამ ბრძანებულებაში მფლობელთ დაუბრუნდებათ გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა, მხოლოდ მას გამოაკლდება რეალიზაციის ხარჯები.

ამ სასჯელს გამოიყენებენ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა იმ მფლობელთა მიმართაც, რომლებსაც არა აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლება, მაგრამ მილიციის ორგანოების წარილობითი გაფრთხილების მიუხედავად, მაინც სარგებლობენ საკუთარი ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებით ან გამოსაყენებლად გადასცემენ იმ პირთ, რომელთაც არა აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლება.

ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევის შესახებ მასალებს აფორმებენ და რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს განსახილველად გადასცემენ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოები.

მოძრაობის წესების ორი ან მეტი უხეში დარღვევისათვის, ერთი წლის განმავლობაში ან ამ წესების უხეში დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, თუ ამ დარღვევაზე არ ვრცელდება ამ ბრძანებულების პირველი მუხლის მოქმედება, რომელიც სჯის ნასვამ მძღოლებს, ასეთ პირებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ერთ წლამდე ან დაედებათ ჯარიმა 30 მანეთამდე.

სიწყნარისა და მყუდროების განზრახ დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა რომ უფრო ეფექტური იყოს, ბრძანებულების მესამე მუხლი აწესებს, რომ ხმოვან სიგნალთა მიცემის წესების ბოროტად ან არაერთხელ დარღვევისათვის მძღოლებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით 6 თვემდე.

ის პირნი, რომელნიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს და არ არიან მათი მფლობელნი, თუ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ იყვნენ დაკავებული მართვის უფლების უქონლად სატრანსპორტო საშუალებათა მართვისაგან ან უნომროდ მართვისთვის, აგრეთვე ამის გამო, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა გადასცეს იმ პირთ, რომელსაც არა აქვთ ამის უფლება, ან იმ პირებს რომელნიც ნასვამ მდგომარეობაში არიან, დაჯარიმდებიან თანხით 30 მანეთამდე.

სატრანსპორტო საშუალებათა პირადი ანგარების მიზნით გამოყენებისათვის მძღოლებს ჩამოერთმევათ მართვის უფლება ვადით ერთ წლამდე ან დაჯარიმდებიან თანხით 30 მანეთამდე.

ბრძანებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი გზებზე და ქუჩებში მოძრაობის სხვა მონაწილე პირის პასუხისმგებლობას.

პირნი, რომელთაც არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება და ნასვამ მდგომარეობაში მართავენ ამ საშუალებებს, მიუხედავად სიმთვრალის ზომისა, დაჯარიმდებიან თანხით 50 მანეთამდე.

ქვეითად მოსიარულენი, მგზავრები, ველოსიპედისტები, მზიდავები და სხვა პირნი, რომელნიც გზებით სარგებლობენ, მოძრაობის წესების უხეშად დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა ან შესაძლო იყო მოჰყოლოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაჯარიმდებიან თანხით 10 მანეთამდე.

ქუჩების, გზების ტრანსპორტსავალი ნაწილის, საგზაო ნიშნების, მოძრაობის რეგულირების და ორგანიზაციის საშუალებათა განზრახ დაზიანებისათვის, თუ ამას არ მოჰყოლია მძიმე შედეგები, დამნაშავე დაჯარიმდება თანხით 20 მანეთამდე.

ორგანოებს და თანამდებობის პირთ, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის და მოძრაობის წესების დარღვევისათვის, შეუძლიათ (გარდა სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევებისა), დამრღვევის პიროვნების და მის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სასჯელის ნაცვლად დამრღვევს მისცენ გაფრთხილება ან მასალები გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისი მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასზე საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისალებად.

გარდა ამისა, აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიათ გამოიტანონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემოწმდეს, თუ რამდენად ფლობს დამრღვევი მოძრაობის წესებს, ტრანსპორტის ტარების ჩვევებს, ანდა გაგზავნონ იგი არასამუშაო საათებში სამეცადინოდ ამ წესების შესასწავლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან ათი დღის ვადაში აცნობონ დამრღვევის მიმართ მიღებული ზომები სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის შესაბამისი განყოფილების უფროსს ან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების.

ადგილობრივ საბჭოებს ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებათა, ტრაქტორებისა და სხვა თვითმავალი მანქანების მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან მათი ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებელ პირებს მტკიცედ დაიცვან სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის დადგენილი წესები.

იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი პირი წინასწარი შეცნობით ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებებს ან სხვა მანქანებს გაუშვებს საექსპლოატაციოდ ან უხეშად დაარღვევს მათი ექსპლოატაციის დადგენილ წესს, რასაც მოჰყვება ადამიანთა მსხვერპლი, ან სხვა მატერიალური ზიანი, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე. გარდა ამისა, ამ პირს შეიძლება აეკრძალოს მუშაობა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობაზე ვადით ხუთ წლამდე ან უვადოდ.

ამასთან დაკავშირებით, რომ [illegible] ტექნიკურ [illegible] ბაზრის [illegible] ტექნიკურ [illegible] ბრძანებულებაში [illegible] ეკონომიკური [illegible] ეკონომიკური [illegible] ეკონომიკური

ჩვენს კალამ-ჯაკეში

ჩვენტუობინეგენ „კომუნისტის“ და საქდესის კორესპონდენტები

პენსიები კოლმეურნეებს

ტყიბული. (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში ორპირის გამსხვილებული კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. გვეტაძე) ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. შრომის გარანტირებული ანაზღაურების წესის დანერგვამ მძლავრი ბიძგი მისცა საკოლმეურნეო საწარმოს შემდგომ განვითარებასა და წინსვლას.

კოლმეურნეობის ასამდე წევრს შარშან აქ სახელმწიფო პენსია დაენიშნა. კოლმეურნე დომნა ჩხიკვაძე თვეში პენსიის სახით 41 მანეთს იღებს, თამარ მერკვილაძე — 40 მანეთს, ხოლო ოლია ხვადაგიანი — 34 მანეთს. პენსიას იღებენ საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები გ. ლანჩავა, ნ. ნოსელიძე, ქ. ჯინჯიხაძე და სხვ.

ახლა კოლმეურნეობაში 397 პენსიონერია. მათი უმრავლესობა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, აქტიურ მონაწილეობას იღებს საკოლმეურნეო შრომაში.

ახალი უნივერმაღი

ფულუკიძე. (საკ. კორ.). კარგი საახალწლო საჩუქარი მიიღეს წულუკიძის რაიონის სოფელ პატარა კუხის მშრომელებმა. სოფელში გაიხსნა ახალი უნივერსალური მაღაზია, რომელსაც უხვად მოეპოვება ფართო ასორტიმენტის სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

უნივერმაღის შენობამ კიდევ უფრო დაამშვენა სოფელი.

ციხეფერი ალის 9.000 გაფიქურა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაურ მშრომელთა ყოფაცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა გაზი. ციხეფერი ალი კიაფობს არა მარტო ქალაქში, არამედ კოლმეურნეთა ოჯახებშიც.

ბედნიერი ბილეთებით

□ თბილისის სახწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ექიმმა ოლივერ ტრიფონის-ძე ლუტიძემ უურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო ლატარიის ბილეთით მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „ვარტბურგი“. მისი 80-კაპიკიანი ლატარიის ბილეთის ნომერია 011931 4.

□ ამ დღეებში სახელმწიფო ბანკის ქედის განყოფილების მცველმა ხ. ქოგუშლაძემ ქედის შემნახველ სალაროს წარუდგინა სპორტული ლატარიის 09883 სერიის № 013 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ზაპოროუეცი“.

შ. დუმბაძე.

„ზესტაფონგაზის“ კანტორა ემსახურება ქ. ზესტაფონის, ორჯონიკიძის, თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების მშრომელებს. ოჯახებს გარდა კანტორა ემსახურება სამედიცინო დაწესებულებებს, სკოლებს, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს.

„ზესტაფონგაზს“ 9.000-მდე აბონენტი ჰყავს. მარტო ზესტაფონის რაიონის 5.000 ოჯახში კიაფობს ციხეფერი ალი.

ხაშურის მშვენება

ხამშარია, მაგრამ ზემო სერი, ხაშურს ჩრდილოეთით რომ აკრავს, მწვანით არის დაფარული. წინათ მოტიტვლებული გორა ახლა ქალაქის მშრომელთა ნება-სურვილით ფიქვნარით დამშვენდა.

მის ძირში გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი ესტრადით, კინოპავილიონით, სპორტული მოედნით, გასართობებით.

ახალი წლის დამდეგს აქ კიდევ ერთი სიახლე გამოჩნდა. მწყობრში ჩადგა სატელევიზიო რეტრანსლატორი. ეს კარგი საჩუქარია ხაშურელი ტელემაყურებლებისათვის.

დ. ფარემუზოვი.

ხვამლის მთის მოთამაშეები

ხვამლის მთა, ანუ გარსკვლავგთსწორი, ანუ „მტერთაგან მიუვალი ბუნებრივი ციხე-სიმაგრე... ოდითგანვე ასე იცნობს ხალხი კავკასიონსა და შავ ზღვას შუა ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე აზიდულ მთას, რომელიც ქუთაისს სულ ოცდათვრამეტი კილომეტრით არის დაშორებული.

ვისაც ჩვენი ბუნების სიმშვენიერე, მისი ცაფირუნ-ხმელეთზურმუხტი უნდა იხილოს, ხვამლზე უკეთეს ადგილს ვერსად იპოვნის.

აქედან, ხვამლის მთის პლატოდან, ადამიანის წინაშე იშლება მომჯადოებელი სანახაობა — შეუფარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს მყინვარწვერი და იალბუზი, ამ გოლიათებს შორის აღმართული კავკასიონის ყველა მწვერვალი. აქედანვე ჩანს ლიხის მთა, შავი ზღვა, მისი სანაპირო და წალკოტად ქცეული კოლხიდის დაბლობი.

მაგრამ ხვამლის მთა მარტოოდენ გადასახედ-გადმოსახედი ადგილი როდია. მთისა და ზღვის შერწყმული ჰავის სიკეთით მას ბადალი არ მოეპოვება. ხვამლის პლატო მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარეულობით, ალპური მდელოებით არის დაფარული, იგი ერთდროულად შეიძლება გადაეცეოთ როგორც ადამიანთა ჯანმრთელობისა და ტურიზმის კერად, ისე სპორტულ ბაზად.

და აი საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ მოიწონეს ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის“ ინიციატივა, რომ ახლა მიუვალი ხვამლის მთა, ყველასათვის მისაწვდომი გახდეს და ხალხის სამსახურში ჩადგეს.

ხვამლის კომპლექსური შესწავლის მიზნით ათ დღეს იყო აქ სპეციალური ექსპედიცია, რომელსაც მთამსვლელი, სპორტის ოსტატი ალ. ნემსიწვერიძე მეთაურობდა. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ გეოლოგები, ტოპოგრაფები, ინჟინრები. ამასთან დაკავშირებით, რომ წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვენინდან გათვალისწინებულია ხვამლზე საპაერო-საბაგირო გზის გაყვანა. ექსპედიციას თან ახლდა საბაგირო გზების მშენებელი გ. ფანცულაია.

ექსპედიციამ შეისწავლა საბაგირო გზის, აგრეთვე საავტომობილო გზის გაყვანის, წყლის რესურსების გამოყენების, ხვამლზე დასასვენებელ, სპორტულ და ტურისტულ ნაგებობათა მშენებლობის შესაძლებლობანი.

გაიკლის მოკლე ხანი, და ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ იქცევა — სახეს შეიცვლის ხვამლის მთა. იგი ხალხის სამსახურში ჩადგება.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მადლობა სოფელს

გურჯაანი. (საკ. კორ.). კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ვაზისუბანის კოლმეურნეობაში. სამშობლოს დასაცავად წარგზავნილებს არ ივიწყებს სოფელი და ყოველ დღესასწაულზე მათი მისამართებით იგზავნება მშობლიური სოფლის მიწაწყალზე მოყვანილი ხილი, ჩურჩხელები, ათასგვარი სახის მოხაკითხი. მადლიერი შვილები სოფელს სანამუშო სამხედრო მომზადებით და დისციპლინით უპასუხებენ. ტომსკის ოლქიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ათობით ქალაქიდან მოდის წერილები კოლმეურნეობის გამგეობის, პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების სახელზე, რითაც მეთაურები მადლობას უხდიან ახალგაზრდების საუკეთესო აღზრდისათვის.

ნ. სიხარულიძე

ძველ რევოლუციონერ-ბოლშევიკ სანდროს ასულ-ადას გამობაღლდა სკკპ წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ნესტორ ილარიონის - ძე სიხარულიძე.

ნ. სიხარულიძე დაიბადა 1895 წელს ოზურგეთის მაზრის სოფ. ამაღლებაში (დღევანდელი შუა-განახლება. ჩოხატაურის რაიონი).

ნ. სიხარულიძემ თავის თავზე გამოსცადა იმდროინდელი ცხოვრების ბეღეკეულმართობა. იგი ადრე ჩაება შრომაში, თექვსმეტი ოდე წლის ახალგაზრდა ქალაქ ფოთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა გახდა, ფოთშივე მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა.

1915-1917 წლებში ნ. სიხარულიძე რიგით ჯარისკაცად გაიწვიეს ირანში, 1921-1923 წლებში კი ქ. ბათუმის ნავსადგურის მტვირთავთა . არტელის მუშაა, ხოლო შემდგომ ოთხოდე წელს რიგითი მილიციელია ჩოხატაურში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა აგრეთვე თბილისის კავშირგაბმულობის სამმართველოში, ჩოხატაურის რაიონის შუაგანახლების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ამავე რაიონის კომფსალური მეურნეობის განყოფილებაში, შმობლიური სოფლის კოლმეურნეობაში, ხოლო 1957 წლიდან პენსიონერია.

მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მენშევიკური ბანდების განიარაღებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

იგი დაჯილდოებული იყო მედლებით.

ძველი რევოლუციონერის ნ. სიხარულიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

გარდაიცვალა გარეგინ სევუნცი

მრევანი, 13 იანვარი. (საკადესის კორ.). დღეს 58 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სკკპ წევრი გარეგინ სევუნცი (გარეგინ სევეევის-ძე გრიგორიანი).

გ. სევუნცი ავტორია ათზე მეტი წიგნისა, რომლებიც მსოფლიოს 17 ენაზეა გამოცემული. მისი რომანი „თეირანი“ 30-ჯერ გამოიცა.

გ. სევუნცი იყო საბჭოთა კავშირბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების სომხეთის განყოფილების თავმჯდომარე, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წევრი, აგრეთვე ვიეტნამის მხარდაჭერის საბჭოთა კომიტეტის წევრი. 1960 წელს მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მწერალი ვერცხლის მედლით დააჯილდოვა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო წვლილისათვის.



მთაღმინდა — დედაქალაქის მშვენება და სიამაყეა. მის პლატოზე უკვე ათ წელზე მეტია აღმართულია მძლავრი სატელევიზიო კოშკი, რომლის საშუალებით თბილისისა და საქართველოს მრავალი რაიონის ტელემაყურებლები იხილენენ ქვეყნის ამბებს, ნახულობენ დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებებსა თუ საეკლესიო-ტრადიციულ კონცერტებს. და იქვე, მთის ფერდობზეა მამადავითის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში განუახლებიათ, ძველად არსებული ეკლესიის ნანგრევებზე.

„ძველი და ახალი საუკუნე“ — ასე უწოდა ამ სურათს ფოტომოყვარულმა ი. გაბუმა.

ნასვარფინალისტები ცნობილია

ბრძოლდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალთბურთში ვაუთა გუნდებისათვის, გამოვლინდა უკანასკნელი ნახევარფინალისტი. ეს არის იტალიის საკლუბო გუნდი „არანშოდა“, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ტირანის „პარტიზანი“ ანგარიშით 90:63.

თასისათვის მებრძოლი რვავე ნახევარფინალისტი ცნობილია. ესენი არიან: არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი (მოსკოვი), სოფიის „აკადემიკი“, ლიეჟის „სტანდარდი“, ბრნოს „სპპიოვკა“, იუგოსლავიის საკლუბო გუნდი „ზაგარი“, ტელავივის „მაკამი“, მადრიდის „რეალი“ და იტალიის „არანშოდა“.

წინ გადამწყვეტი შეხვედრებია

ალმა-ატა, (საკდესი). დამთავრდა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის რვა ტური. მხოლოდ ერთი შედეგი ჯერჯერობით არ არის ნაწერილი ცხრილში: გურგენიძის ავადმყოფობის გამო მისი პარტია პოდგაიცთან გათამაშდება მოგვიანებით. გამოვლინდა ერთპიროვნული ლიდერი — უკრაინის ჩემპიონი იური სახაროვი. ოსტატს აქვს სსრ კავშირის ჩემპიონატებისათვის საუცხოო შედეგი — 6 ქულა.

საკდესის კორესპონდენტმა გროსმაისტერ ალექსანდრე ზაიცევს სთხოვა განემარტა ჩემპიონატზე ბრძოლის პირველი დღეების შედეგები.

ახლახანდელი ტურნირისათვის დამახასიათებელია უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ეს წინათ ყოფილა, სასტარტო პერიოდი, თქვა ზაიცევმა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩემპიონატი დაიწყო რიგაში ნაგუნდო პირველობის დამთავრებისთანავე და თანაც მაღალი მთის პირობებში, მაგრამ, მეექვსე ტურიდან დაწყებული, ბრძოლა მკვეთრად გაძნელდა, ყაიმი ეშვითი გახდა.

მე მგონია, უძლიერესთა ხუთეულში მოხვედრის საუკეთესო შანსები აქვთ ტალს, პოლუგაევსკის, ხოლმოვს, ლეონსა და ავერბახს. რატომ ვიფასებ ასე დიდად ხოლმოვის შანსებს? მან ხომ რვავე პარტია ყაიმით დაამთავრა. მაგრამ ცნობილია, რომ ხოლმოვი ყოველთვის ნელა შედის „ფორმაში“. ამასთანავე, მოსკოველი გროსმაისტერი თამაშობს თავისუფლად, იშვიათად ხვდება ციხეტროტში, და მაშასადამე, მას შემორჩა ძალები შემდგომი ბრძოლებისათვის.

მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატებში სუსტები არ არიან ხოლმე. თითოეული მონაწილე მთელი ძალით იბრძვის და ყოველ წუთს შეუძლია მოგვართვას სიურპრიზი. ეს უკვე მოხდა მეორე ტურში, როცა კიეველმა პლატონოვმა, რომელსაც არ ჰქონდა არც ერთი გამარჯვება, არა თუ გაუძლო კომბინაციურ გართულებებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სტიქიაა, არამედ უფრო მოხერხებული აღმოჩნდა დაძაბულ ორთაბრძოლაში და პირველი დამარცხება მიაყენა ტალს. მოულოდნელობანი ბევრი იქნება. წინ არის კიდევ ტურნირის ნახევარზე მეტი.

გუშინ ალმა-ატაში

ბაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეექვსე ტური. ოსნოსმა დაამარცხა სახაროვი, ბაგიროვმა — ლეონი, ი. ზაიცევმა — ნიკიტინი. გურგენიძე-პოლუგაევსკისა და ლიბერზონ-პოდგაიცის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. კლოვანს ზედმეტი პაიკი აქვს ტალთან, ა. ზაიცევს — ავერბახთან.

დღეს გაიმართება მეათე ტური.

რამდენიმე სტრიქონით

◆ მესამე სტატი ავსტრალიის კორტებზე სსრ კავშირის ჩემპიონის თ. ლეიუსისათვის არასახარბიელო აღმოჩნდა. მართალია, მან შესანიშნავი ასპარეზობაში დაამარცხა რ. შერიფი, მაგრამ შემდეგ წაგო ორთაბრძოლა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან რ. ემერსონთან.

◆ აღმოსავლეთ კანადის მოკეთეტა გუნდი განაგრძობს ტურნეს ევროპაში. მორიგი შეხვედრა კანადელებს ჰქონდათ ვეისვასერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან და გიმარჯვეს 8:0.

◆ დამოუკიდებელ ავსტრიის პირველობის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში. ერთეულთა შორის ჩემპიონობა მოიპოვეს იუნტერ ანდერმმა და ბ. შუბამ.

◆ ობერჰოფში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება ხათხილაჭურო ორჭიდში. აქ პირველი იყო ლენინგრადელი ტ. ხალიანდი, რომელმაც 442,63 ქულა შეაგროვა.

ლ. მაცნაჩოვას წარმატება

მოსკოვი, 13 იანვარი. (საკდესი). 24 წლის მოსკოველი ლუდმილა მაცნაჩოვა გახდა სსრ კავშირის ამსოლუტური ჩემპიონი ციგურაობაში — 195,349 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა რიგელმა ლასსა კაუნისტმემ — 196,850 ქულა და მესამე — მოსკოველმა გალინა ნიშვდოვამ — 197,266 ქულა.

ჩემპიონატის ფინიში

თბილისის ზამთრის საცურაო აუზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკური პირველობა ცურვაში.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა კომპლექსური ცურვა ქალთათვის 400 მეტრზე. აქ ძირითადი მეტოქეები იყვნენ სპორტის ოსტატები ი. ჩუგუევსკაია და ი. ზოტოვა. ფინიშთან წარმატება ხვდა ი. ზოტოვას, რომელმაც დამყარა საქართველოს ახალი რეკორდი — 6 წუთი და 07,3 წამი.

200 მეტრზე გულაღმა ცურვის ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა და მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილემ თ. ლეკვეიშვილმა. მან აჩვენა დრო — 2 წუთი და 47,6 წამი. ვაუთა შორის ამავე დისტანციაზე და იმავე სტილით ცურვაში პირველი იყო თბილისელი ვ. სმოშჩიკოვი — 2 წუთი და 30,4 წამი.

ტელევიზია

16 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.40 — გადაცემათა პროგრამა, 11.45 — ა. ვეპრიკი. რაპსოდია ალტისა და ფორტეპიანისათვის, 12.10 — ციკლიდან „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“. საუბარი „მეურნეობის ეკონომიკა ჩვენი მთავარი საზრუნავია“, 12.25 — შ. მშველიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „დიდოსტატის მარჯვენა“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.40 — უკრაინული სიმღერები, 17.10 — გადაცემათა პროგრამა, 17.15 — ქართული საოპერეტო მუსიკა, 17.35 — მოსწავლეთათვის. მოთხრობები ლენინზე, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ა. მაჭავარიანი ნაწყვეტები ბალეტიდან „ოტელო“, 18.45 — დვორეკი. რომანსი ვიოლინისა და ორკესტრისათვის, 19.00 მიღიონთა ლენინური უნივერსიტეტი ციკლი „ლენინის თხზულებების შემსწავლელთა დასახმარებლად“. საუბარი „ლენინი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის შესახებ“, 19.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — სიმღერები მახარაძის რაიონის ვოკალურ ანსამბლ „შვიდკაცას“ შესრულებით, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რიმსკი-კორსაკოვი. ოპერა „ოქროს მამალი“, 22.30 უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 22.50 — ქართული ხალხური სიმღერები, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — მუსიკა ბალეტისათვის „დღესასწაული ყინულზე“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

15 იანვარი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ბმირობა“ — სატელევიზიო ალმანახი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.55 — კინონარკვევი, 12.20 — ქართული მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „კალეიდოსკოპი“ — მუსიკალური პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლენინგრადიდან), 19.00 — პიონერული თამაში „ეთილ საქმეთა ყუთაბა“, 19.10 — გადაცემა „მზე, თოვლი და სტარტი“, 19.35 — საუბარი სამედიცინო თემაზე — „ზოგიერთი სიახლე გულსისხლძარღვთა დაავადების მკურნალობაში“, 19.55 — ვერდის ოპერა „აიდას“ ტრანსლაცია ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს და ტრანსლაციის შემდეგ — საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“.

ოლიმპიადა

15 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — კირილე ვირკოვიჩის (ვიოლინო) კონცერტი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გუშინდელნი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შესანიშნავი სამეუღლი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნუ გეჩქარებათ სიცილი (№ 7 ამონ. საღ. 6 ს.), თოჯინების ქართული — უცნაური მღვიმე (დღის 11 ს. და 1 ს.).

კინო

15 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — საპაერო თავგადასავლები (I, II სერია), ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, კოლხიდა, ჯავჯავაძის სახელობის კულტურის სახლი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — მთავარი სამხედრო; სპარტაკი — ვიეტნამური ფილმების კვირეული, 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — ჩემი სიცოცხლე ხარ (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — ალიოშკას ნადირობა, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), ეკრანი — ჩინგაჩგუკი — დიდი გველი, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), კომკავშირელი — ივანე მაკარის-ძე, ყაზბეგი (II დარბაზი), ბათუმი, ოფიცერთა სახლი — ცა მესამე სართულიდან იწყება, ბათუმი — ოსკარი, სპორტი — ერთგული ხელი — ინდიელთა მეგობარი, კომეშეურნე — კაცი კანადიდან, კოლმეურნე — შემთხვევა საგამომძიებლო პრაქტიკიდან, გაზაფხული — ხამი მუშეტერი (I, II სერია), თანამგზავრი — ავტომობილი, თანამგზავრი — ფანტომასი (III სერია), თანამგზავრი — თავგადასავალთა მაძიებელნი (7, 9.).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

სიცოცხლის საზღვართან

სპეციალური ფოტოანგარიში

ა. ბ. ბონეარელია — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი



შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტის კოლხიდის კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსანდრე ბესარიონის-ძე ბონეარელიამ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ კოლხიდის დაბლობის ნიადაგები, მათი მელიორაცია და სასოფლო-სამეურნეო ათვისება“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ბ. მოწვერელიასათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ს. ბ. ბოლოტნიკოვი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი



ბოტანიკოსი ს. ბ. ბოლოტნიკოვი ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეკავა ბოტანიკურ ბაღებს, ბოლო ექვსი წელი — ბოტანიკურ ბაღს ... ...